



თარგმანები ქართულიდან შვედურად, 1991-2012

კვლევა განხორციელდა Next Page Foundation-ის მიერ Book Platform-ის პროექტის ფარგლებში

ნათია ლორთქიფანიძე¹

ინგლისურიდან თარგმნა სოფო ბუჯიაშვილმა²

ნოემბერი, 2012

¹ ნათია ლორთქიფანიძე ცხოვრობს შვედეთში და შვედეთის ეროვნული ბიბლიოთეკის აქტიური წევრია

² სოფო ბუჯიაშვილი - ინგლისური და შვედური ენების მთარგმნელი.

This text is licensed under Creative Commons



მოცემული კვლევის მთავარი ფოკუსი 1991 წლიდან დღემდე შვედურიდან ქართულად ნათარგმნ წიგნებზეა. სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაფუძნებული კვლევის მიზანია ქართულიდან შვედურად პირდაპირ ან სხვა ენის საშუალებით თარგმნის ტრადიციის ზოგადი სურათის ასახვა 1991 წლამდე და მის შემდეგ, თარგმანის ძირითადი ეტაპების და გაზების ასახვა, ჟანრების დაყოფა და სხვა ონლაინ გამოცემები და პერიოდიკა, რომელიც შვედეთის წიგნის გამომცემლობის ბაზრის ზოგად სიტუაციას ეხება.

კვლევის ნაწილად წარმოდგენილია შვედეთში საგამომცემლო ბაზრის და თარგმანების ზოგადი სიტუაციის მიმოხილვა. შვედეთში შვედურად ნათარგმნი ქართული ლიტერატურის შესახებ ყველა ინფორმაციის, სტატისტიკის და მიღების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ რა რეკომენდაცია, ან კომენტარი შეიძლება გაკეთდეს ქართული წიგნების ამ ქვეყანაში პოპულარიზაციის ხელშესაწყობად.

შესავალი

შვედეთის მასშტაბით 290 ბიბლიოთეკაა. მათ შორის უდიდესია შვედეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია შვედეთში ან შვედურად დაბეჭდილი ყველა სახის პუბლიკაცია 1661 წლიდან და სისტემატიზირებულია ერთ კატალოგში - Libris <http://libris.kb.se/>.

სამეფო ბიბლიოთეკის საძიებო სისტემაში შვედურად ნათარგმნი მხოლოდ 6 ქართული ნაწარმოები არის ხელმისაწვდომი, მათ შორის წიგნები, აუდიო წიგნები და ფილმი. 1991 წლამდე პირველი და ერთადერთი პუბლიკაცია 1978 წელს ჩნდება, რომელსაც სრული უმოქმედობის წლები მოსდევს. პერიოდი 1991 წლიდან დღემდე შეიძლება აღინიშნოს უფრო აქტიურად და ქართული წიგნების პოპულარიზაციისათვის უფრო მნიშვნელოვნად; გამოიცა რამდენიმე წიგნი და აუდიო წიგნი და სხვადასხვა დონორის მხარდაჭერით დაიწყო ახალი პროექტები. ყველა თარგმანი რაც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკებში ითარგმნა სხვა ენის საშუალებით, განსაკუთრებით, რუსულის. ამ საკითხს უფრო დეტალურად მესამე თავში განვიხილავთ. რაც შეეხება მთარგმნელებს, როგორც ჩვენი კვლევიდან ჩანს, დღეს ძალიან ცოტა მთარგმნელია და ისინი ძირითადად რუსული ენიდან თარგმნიან და რამდენიმე ქართველი ფილოლოგი, რომელმაც შვედური ქართულ უნივერსიტეტში შეისწავლეს და დაინტერესებულია თარგმანით, როგორცაა თამარ მაისურაძე. როგორც ზემოთ აღინიშნა, დღესდღეობით, ქართველი მთარგმნელები სხვადასხვა პროექტზე მუშაობენ შვედური ინსტიტუტის (Svenska Institutet) მხარდაჭერით, რომელიც ყველაზე დიდ როლს თამაშობს შვედეთსა და მის მეგობარ ქვეყნებს შორის კულტურებისა


და იდეების გაცვლაში. შედეგად, მომავალ წელს წიგნის თაროებზე გამოჩნდება კიდევ ერთი ქართული წიგნი „ქართული მოთხრობების ანთოლოგია“, თარგმნილი თამარ მაისურაძის მიერ.

საგამომცემლო და მთარგმნელობითი ბაზარი შვედეთში

უახლესი ხელმისაწვდომი სტატისტიკური ინფორმაცია შვედეთის საგამომცემლო და წიგნის ბაზარზე მიმდინარე განვითარების შესახებ გამოქვეყნდა 2012 წლის ნოემბერში „Svenska Förläggareföreningen“ (შვედეთის გამომცემლობების ასოციაცია, დაარსებული 1843 წელს) მიერ. ასოციაციის მიზანია საერთო ინტერესის საკითხის პოპულარიზაცია საგამომცემლო ინდუსტრიაში და ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს და სტატისტიკას შვედეთის წიგნის ბაზარზე წვერი საგამომცემლო სახლებიდან შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით. შვედეთის გამომცემლობების ცნობარის მიხედვით ქვეყნის მასშტაბით 38 სახლია, რომელიც გამოსცემს ყველა სახეობის წიგნს, ჟურნალს, პოსტერს, ელ-წიგნს, აუდიო წიგნს და რუკებს.

როგორც უახლესი სტატისტიკა აჩვენებს შვედეთის საგამომცემლო და მთარგმნელობითმა ბაზარმა ბოლო ათწლეულში გამოცადა როგორც კარგი, ისე ცუდი დრო. პერიოდი 1997-დან 2007 წლამდე აღნიშნულია, როგორც შვედეთის წიგნებით ვაჭრობის ისტორიისათვის პროდუქტიული პერიოდი (დიაგრამა 1.1), წიგნებზე დღგ-ს მოულოდნელმა შემცირებამ, 25%-დან 6%-მდე 2002 წელს, წიგნები 15% იაფი გახადა და ნებისმიერ სატელევიზიო რეკლამაზე უკეთესად გაუკეთა პოპულარიზაცია. ამან გამოიწვია გამომცემლობების გაყიდვების ზრდა 45%-ით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ყოველწლიური ახალი წიგნების რაოდენობის ზრდა და მოტივაცია მისცა გამომცემლობებს და ავტორებს მეტი ემუშავათ.

1.1 ახალი წიგნების და გამოცემების დაბეჭდილი და გაყიდული ასლები (ათასი)



მაგრამ მცირედი დროის გასვლის შემდეგ შვედეთის წიგნების ინდუსტრიაში კლება იყო. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და ეკონომიკურმა დაცემამ არ დატოვა გამომცემლობები გავლენის გარეშე, გამომცემლობების გაყიდვები შემცირდა 15% მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

დღევანდელი ციფრები შედარებით სტაბილურ სიტუაციას აჩვენებს საგამომცემლო ბაზარზე. ახალი წიგნების და გამოცემების სტატისტიკის მიხედვით, ცხრილი, რომელიც მოიცავს ელექტრონულ და აუდიო წიგნებს, ძალიან სტაბილურია ან მცირედი ცვლილებითაა. 2011 წელს გამოქვეყნებული ახალი წიგნების და გამოცემების საერთო რაოდენობა 4010 იყო, 2010 წელზე 1.6%-ით ნაკლები (4074). გაყიდული ახალი წიგნების და გამოცემების რაოდენობა 21240 იყო, 0.5%-ით ნაკლები ვიდრე 2010 წელს (21347). ქვემოთ მოცემული ცხრილი უფრო ზუსტ ინფორმაციას იძლევა უკანასკნელი 10 წლისათვის:

დაბეჭდილი და გაყიდული ახალი წიგნები და გამოცემები 2002-2011

	2011	2010	2009	2008	2007	2006	2005	2004	2003	2002
ახალი წიგნების და გამოცემების საერთო რაოდენობა*	4 010 -16%	4 074 5.3%	4 301 -3.5%	4 45 9 -	4 708 12.7 %	4 178 -	4 347 3.0%	4 219 4.7 %	4 030 15.9 %	3 476 5.2%
დაბეჭდილი ტირაჟი ათასებში	2976 4 - 3.5%	30 857 5.0%	29 391 -	34 27 1 -	39 838 16.5 %	34 192 -1.0	34 541 1.2%	34 117 -	34 796 19.5 %	29 122 5.3%
დაბეჭდილი ტირაჟი წიგნზე ათასებში**	8.8 -	9.1 17.7 %	7.7 -6.1%	8.2 8.2 -	8.9 8.3%	8.2 3.0%	7.9 1.7%	8.1 -	8.6 3.1%	8.4 0.1%
გაყიდული ტირაჟის რაოდენობა	2124 0 - 0.5%	21 347 5.5%	20 238 - 11.5%	22 87 8 -	27 752 22.1 %	22 730 3.9%	21 886 0.1%	21 915 1.4 %	22 232 15.9 %	19 184 7.6%
გაყიდული ტირაჟის რაოდენობა წიგნზე ათასებში	5.3 1.1%	5.2 11.4 %	4.7 -8.3%	5.1 5.1 13. 0%	5.9 8.4%	5.4 8.1%	5.0 -	5.2 -	5.5 0.0%	5.5 2.2%

* მოიცავს ნაბეჭდ წიგნებს, აუდიო წიგნებს და ელექტრონულ წიგნებს ახალი წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ISBN

** დაბეჭდილი ტირაჟის რაოდენობა წიგნზე ეხება მხოლოდ ფიზიკურ წიგნებს, არა ჩამოსატვირთს.

ვინაიდან მთავარი ფოკუსი ჩვენი კვლევისა თარგმანია, ჩვენ შეგვიძლია შევხედოთ თარგმანების ჟანრების მიხედვით დაყოფილ მონაცემებს, რომელიც მოიცავს გამოქვეყნებული ახალი წიგნების და გამოცემების საერთო რაოდენობას, დაბეჭდილი და გაყიდული წლების მიხედვით. ამგვარად ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ მთლიანი წიგნის წარმოებიდან ყველა თარგმანის პროცენტი 2002 წლიდან დღემდე შვედეთში.

ყველა თარგმნილი ახალი წიგნის და გამოცემის საერთო რაოდენობა, კატეგორიზებული ჟანრის მიხედვით 2002-2011

	2011	2010	2009	2008	2007	2006	2005	2004	2003	2002
<i>მხატვრული</i>	198	205	256	306	367	334	338	326	328	298
<i>სამეცნიერო</i>	298	283	332	452	461	445	601	436	398	367
<i>საბავშვო წიგნები</i>	271	382	436	455	490	506	561	520	566	260

დაბეჭდილი თარგმანების საერთო რაოდენობა, კატეგორიზებული ჟანრის მიხედვით 2004-2011

	2011	2010	2009	2008	2007	2006	2005	2004
<i>მხატვრული</i>	1 405	1 738	2 090	2 081	2 782	2 799	3 478	3 253
<i>სამეცნიერო</i>	1 689	1 521	1 767	2 518	2 646	2 594	3 208	2 727
<i>საბავშვო წიგნები</i>	1 561	2 365	2 419	2 511	2 817	2 838	3 646	3 710

გაყიდული თარგმანების საერთო რაოდენობა, კატეგორიზებული ჟანრის მიხედვით 2004-2011

	2011	2010	2009	2008	2007	2006	2005	2004
<i>მხატვრული</i>	910	1 283	1 603	1 475	1 835	2 003	2 408	2 344
<i>სამეცნიერო</i>	1 070	868	994	1 208	1 441	1 440	1 312	1 546
<i>საბავშვო წიგნები</i>	943	1 399	1 319	1 409	1 705	2 019	2 702	2 422

შვედეთში წიგნის წარმოების შესახებ ანგარიშის გაცნობისას ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ნათარგმნი წიგნების მაღალი პროცენტი ინგლისურ წიგნებზე მოდის. 2002 წლიდან 2011 წლამდე ცხრილების მიხედვით, შვედურად ნათარგმნი ინგლისური წიგნების რაოდენობა უმაღლესია სხვა ენებს შორის. თუმცა, უკანასკნელი დაკვირვებით, მკითხველების მხრიდან ინგლისურ წიგნებზე მოთხოვნამ იკლო, ვინაიდან მოსახლეობით 86% სრულყოფილად ფლობს ინგლისურს.

სხვადასხვა ენიდან ნათარგმნი წიგნების რაოდენობა 2002-2011

	ინგლი სური	გერმა ნული	ფრან გული	ესპან ური	რუს ული	იტალ იური	ნორვეგ იული	დანი ური	ფინ ური	ისლან დიური	სხ ვა
20 02	818	21	35	13	11	11	46	18	10	4	68
20 03	845	17	36	9	13	6	55	14	16	6	76
20 04	851	23	42	11	14	9	78	23	12	13	69
20 05	886	52	42	16	9	15	55	16	12	7	36
20 06	825	18	54	17	17	12	36	23	9	11	59
20 07	918	33	29	9	12	16	58	35	14	16	76
20 08	891	21	52	20	18	17	66	22	9	11	84
20 09	735	36	51	16	12	7	47	29	5	5	77
20 10	743	27	67	16	21	17	60	30	11	8	74
20 11	738	45	59	25	21	15	64	22	10	8	66

კითხვის ჩვევა ასევე სტაბილურია და მაღალ დონეზეა. „სტატისტიკური წელიწდეულის“ 2012 წლის გამოცემაში წიგნის კითხვა აღწერილია შემდეგვარად: „უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, მუდმივი მკითხველების რაოდენობა, ვინც აცხადებს, რომ კითხულობს ან უსმენს წიგნს სულ კვირაში ერთხელ მაინც ბოლო 12 თვის მანძილზე, გაიზარდა 28%-დან 39%-მდე.“ რაც შეეხება წიგნის კითხვის პრაქტიკას 2012 წელს, სტატისტიკა აჩვენებს, რომ შვედების 35% ყოველდღიურად კითხულობს წიგნს (36% 2011 წელს, 37% 2010

წელს). მათ შორის, ვინც ყოველდღე კითხულობს წიგნს, 38% ძირითადად მხატვრულ ლიტერატურას, ხოლო 22% სამეცნიერო წიგნებს კითხულობს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად გაყიდვებში და გამომცემლობაში არსებული კლების ტენდენციისა, ინდუსტრიის სტატისტიკის მიხედვით 2011 წელს გაყიდვები 44%-ით მაღალი იყო 2000 წელზე, რაც ცუდი ზრდა არ არის. დღესდღეობით ინდუსტრიაში სწრაფი ცვლილებები მიმდინარეობს, შესაძლოა, არსებულ მასშტაბებს სცილდება, მაგრამ შესაძლებლობებით სავსეა საგამომცემლო სახლებისათვის.

გამომცემლობები

შვედეთის საგამომცემლო ლექსიკონის თანახმად, შვედეთში 38 საგამომცემლო სახლია, კატეგორიზებული საგამომცემლო თემების მიხედვით. 38 კომპანიიდან, 15 გამოსცემს შვედურ ან ნათარგმნ მხატვრულ ლიტერატურას:

1. **Salomonsson Agency** - ლიტერატურული სააგენტო, რომელიც სკანდინავიელ ავტორებს წარმოადგენს მსოფლიოში.
2. **Alfabeta Bokförlag AB** - გამოსცემს მხატვრულ, სამეცნიერო, ისტორიულ, ხელოვნებისა და მუსიკის შესახებ წიგნებს ბავშვებისა და მოზარდებისათვის.
3. **Leopard Förlag** - შვედური და ნათარგმნი (განსაკუთრების მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან) მხატვრული ლიტერატურის გამომცემელი. ისტორია, პოპულარული და სოციალური მეცნიერებები.
4. **Rabén & Sjögren** - შვედი და უცხოელი ავტორების მაღალი ხარისხის საბავშვო წიგნები, მხატვრული და სამეცნიერო.
5. **B. Wahlströms&Widstrand Bokförlag** - სავაჭრო და წიგნის კლუბის მხატვრული და სამეცნიერო ნაწარმოებების გამომცემლობა ბავშვებისა და მოზარდებისათვის.
6. **Ordfront and Galago** - მიმდინარე თემები: ისტორია, მხატვრული ლიტერატურა, თრილერი, გრაფიკული რომანი და კომიქსები.
7. **Bokförlaget Natur och Kultur** - ზოგადი სამეცნიერო, მხატვრული და საბავშვო წიგნები, ასევე სახელმძღვანელოები სკოლებისთვის, უნივერსიტეტებისთვის და ზრდასრულთა განათლებისათვის.
8. **Libris Förlag** - რელიგიის, თეოლოგიის, მხატვრული და სამეცნიერო წიგნების, ბიბლიების, სახელმძღვანელოების, რბილი გარეკანის მქონე მაღალხარისხიანი წიგნების გამომცემლობა.
9. **Eriksson & Lindgren** - შვედი ავტორების მაღალხარისხიანი საბავშვო წიგნები.
10. **Berghs Förlag AB** - ნახატებიანი წიგნები, მხატვრული და სამეცნიერო წიგნები ახალგაზრდა მკითხველისათვის. სამეცნიერო, რეწვის და ჰობის წიგნები მოზრდილებისთვის.

11. **Albert Bonniers Förlag AB** - შვედი და უცხოელი ავტორების თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა, კლასიკა და პოეზია. მემუარები, ბიოგრაფია. მაღალხარისხიანი სამეცნიერო წიგნები და პრაქტიკული წიგნები ყველა თემაზე.
12. **Norstedts Agency** - მხატვრული, სამეცნიერო, მემუარები, ბიოგრაფიები, პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებები. ნახატებიანი წიგნები, მხატვრული და სამეცნიერო წიგნები ბავშვებისა და მოზარდებისათვის.
13. **Damm Bokförlag** - მხატვრული ლიტერატურის სავაჭრო და წიგნის კლუბის გამომცემლობა მოზრდილებისთვის.
14. **Tiden** - მხატვრული და სამეცნიერო წიგნები ბავშვებისა და მოზარდებისათვის.
15. **Tranan** - სპეციალიზირდება ხარისხიანი მხატვრული ლიტერატურის თარგმნაზე აფრიკიდან, აზიიდან, ლათინური ამერიკიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან.

მათ შორის უდიდესი და უძველესი, ამავდროულად ყველაზე პატივცემული გამომცემლობა **Albert Bonniers Förlag**-ია, რომლის ოფიციალურ ვებგვერდზეც ვკითხულობ, რომ ის დაახლოებით 200 წიგნს გამოსცემს წელიწადში, მათ შორის შვედურ და ნათარგმნ მხატვრულ ლიტერატურას, პოეზიას და სამეცნიერო ნაწარმოებებს, ბოლო წლების ნობელის მრავალ ლაურეატს.

ბიბლიოთეკები

შვედეთის მასშტაბით 40 კვლევითი, 37 სპეციალური, 80 ჰოსპიტალის და 290 მუნიციპალური ბიბლიოთეკაა. მათ შორის ჩვენ შეგვიძლია 2 მთავარი ბიბლიოთეკა გამოვყოთ: შვედეთის ეროვნული ბიბლიოთეკა და სტოკჰოლმის საჯარო ბიბლიოთეკა. ორივე მათგანი აგროვებს და იცავს ადგილობრივად დაბეჭდილ და აუდიო-ვიზუალურ მასალას შვედურად, ასევე საზღვარგარეთ გამოცემულ შვედეთთან ასოცირებულ მასალას. შვედეთის ეროვნული ბიბლიოთეკა სამეფო ბიბლიოთეკაა და მისი კოლექცია შედგება 20 მილიონზე მეტი ერთეულისგან, მათ შორისაა წიგნები, პოსტერები, სურათები, ხელნაწერები, გაზეთები და მრავალი სხვა. აუდიო-ვიზუალური კოლექცია მოიცავს 7 მილიონ საათზე მეტ ჩანაწერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა კვლევითი ბიბლიოთეკაა, რომლის მთავარი ფოკუსი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებზეა. შესაბამისად, ბიბლიოთეკა შეისყიდის შვედურ და უცხოურ ლიტერატურას ისეთ თემებზე, როგორცაა ლიტერატურა, ხელოვნება, თეოლოგია, ისტორია და არქეოლოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა ასევე ყიდულობს უცხო ენაზე დაწერილ ლიტერატურას შვედეთის შესახებ და საზღვარგარეთ გამოცემული შვედი ავტორების ნაწარმოებებს.

შვედეთის ასლის გადაცემის შესახებ კანონის მიხედვით, ბეჭდვითი მასალის გამომცემლობა ვალდებულია გაუზიაროს თითოეული ერთეულის ერთი ასლი ეროვნულ ბიბლიოთეკას და ექვს სხვა კვლევით ბიბლიოთეკას. მუსიკის, ფილმის,

რადიოს და ტელევიზიის გამომცემლობა ასევე ვალდებულია მიაწოდოს ასლები ბიბლიოთეკას. რიგ შემთხვევაში, ეთერში გაშვებული მასალის ნიმუშის გადაცემა საკმარისია.

ვალდებულება შვედურად ნაბეჭდი ყველა ნაშრომის შეგროვების შესახებ 1661 შვედეთის საიდუმლო საბჭოს კანცელარიის მიერ გამოცემული განკარგულებით შევიდა ძალაში. განკარგულება ყველა მბეჭდავს შვედეთში ავალდებულებდა გაეგზავნათ ყველა პუბლიკაციის ორი ასლი კანცელარიისთვის მათ გავრცელებამდე. ერთი ასლი იგზავნებოდა შვედეთის ეროვნულ არქივში (Riksarkivet), ხოლო მეორე ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ამ განკარგულებას საფუძვლად ედო არა შთამომავლობისათვის პუბლიკაციების შენახვა, არამედ ამ პუბლიკაციების შინაარსის მონიტორინგის სურვილი.

სტოკჰოლმის საჯარო ბიბლიოთეკა მოიცავს 2 მილიონზე მეტ ტომს და 2.4 მილიონ აუდიო ჩანაწერს, კომპაქტ-დისკს და აუდიო წიგნს. გარდა შვედური ენისა, აქ ინახება ნაშრომები 100-ზე მეტ ენაზე 17000 ტომად სპარსულად, 15,800 არაბულად და 14,500 ესპანურად.

სტოკჰოლმის საჯარო ბიბლიოთეკის გასული წლის ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბიბლიოთეკას 5 მილიონზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა და დაახლოებით 4 მილიონმა ითხოვა წიგნი. იგივე სტატისტიკური მონაცემებიდან ვიგებთ, რომ ყველაზე ხშირად მოთხოვნილი ენები იყო რუსული (19,300 გატანა), ტაილანდური, ესპანური, სპარსული, ჩინური, არაბული, პოლონური და იაპონური.

ქართული თარგმანი შვედურად

როგორც შესავალში აღვნიშნეთ 1978 წლიდან დღემდე ქართულიდან თარგმანის მხოლოდ 6 პუბლიკაცია არსებობს, რომელიც ქვემოთ არის მოცემული:

თარგმანი ქართულიდან	1991-მდე	1991-ის შემდეგ	სულ
წიგნები	1	2	3
აუდიო წიგნები		2	2
ვიზუალური კრებული		1	1

თარგმანების ჟანრობრივი განაწილება შემდეგია:

ჟანრი	წიგნების რაოდენობა
მხატვრული	4
თანამედროვე პოეზია	1
ვიზუალური კოლექცია	1

ქართული ლიტერატურის თარგმანი სხვა ენის საშუალებით

ჩვენი კვლევის დროს აღმოვაჩინეთ, რომ ქართულიდან შვედურ ენაზე პირდაპირი თარგმანი არ არსებობს. ქართული ლიტერატურის ყველა წარმოდგენილი თარგმანი შესრულებულია რუსული ენიდან. ამის მიზეზის გასარკვევად, უნდა გავიხსენოთ ისტორია. საქართველო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო და ქართული პუბლიკაციების უმრავლესობა რუსულად ითარგმნებოდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, მარტივად შეგვიძლია ავხსნათ 21-ე საუკუნემდე ქართული წიგნების შვედურად რუსული ენის საშუალებით თარგმნის ტრადიციის წარმომავლობა.

როგორც მე-3 თავში აღინიშნა, მხოლოდ 3 წიგნი, 2 აუდიო წიგნი და 1 დილმი არის ნათარგმნი შვედურ ენაზე.

სახელი	გამოცემის წელი	გამომცემლობა	მთარგმნელი	პუბლიკაციის ფორმა
Den Fredlose	1978	Wahlström & Widstrand	ჰანს ბიორკვეგრენი	წიგნი
Den sista flyckten	1996	Wahlström & Widstrand	ჰანს ბიორკვეგრენი	წიგნი
Den Fredlose	2002	Wahlström & Widstrand	ჰანს ბიორკვეგრენი	აუდიო წიგნი
Den sista flyckten	2005	Wahlström & Widstrand	ჰანს ბიორკვეგრენი	აუდიო წიგნი
Modern Georgiska Poesi	19??		კაისა ლინდსტენი	წიგნი
Far till en Soldat	2005			ფილმი

ცხრილში პირველი ორი ნაბეჭდი წიგნი ითარგმნა ჰანს ბიორკვეგრენის მიერ და გამოიცა 1884 წელს დაფუძნებულ შვედურ საგამომცემლო სახლ Wahlström & Widstrand-ში. დღეს Wahlström & Widstrand წარმოადგენს Bonnier förlagen-ის ნაწილს და წელიწადში თითქმის 100 წიგნს გამოსცემს, მათ შორის შვედურ და ნათარგმნი მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას და პოეზიას.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ციფრულ ერაში ეს ორი წიგნი ცვლილებების გარეშე გამოიცა აუდიო ვერსიიდან.

Modern Georgiska Poesi-ს ითარგმნა და გამოიცა Svenska Institutet-ის (შვედური ინსტიტუტი), შვედეთის საელჩოს და Svensk-Georgiska Kulturforeningen Stiftelsen “Kaukasus“-ის (შვედურ-ქართული კულტურის საზოგადოება და ფონდი „კავკასია“). კაისა ლინდსტენმა თარგმნა თანამეტროვე ქართველი პოეტების რამდენიმე ლექსი რუსული ენიდან.

მთარგმნელების სამუშაო პირობები

სამუშაო პირობები და კონტრაქტები ყველა მწერლისა და ლიტერატურული მთარგმნელისათვის ძირითადად ერთია შვედეთში, რომელიც მკაცრად არის განსაზღვრული „შვედეთის მწერალთა ასოციაციის“ (ცენტრალური პროფესიული ორგანიზაცია ყველა ავტორისა და ლიტერატურული მთარგმნელისათვის) და „შვედი გამომცემლობების ასოციაციის“ რეგულაციით. „შვედეთის მწერალთა ასოციაციამ“ „შვედი გამომცემლების ასოციაციასთან“ თანამშრომლობით ჩამოყალიბდა სტანდარტული კონტრაქტი და მწერალს და გამომცემლობას შორის ხელშეკრულების მინიმალური პირობები, რომელიც ნებისმიერი დარღვევისგან იცავს ავტორის უფლებებს.

ამ პირობების და სტანდარტული კონტრაქტის თანახმად, ანაზღაურება პირველადი გამოყენებისათვის (პუბლიკაცია იმ საგამომცემლო კომპანიის მიერ, რომელმაც დააკონტრაქტა თარგმანისათვის) შესრულებისას არის მინიმუმ 1900 შვედური კრონა ნაბეჭდი ტექსტის ერთი სტანდარტული გვერდისთვის (სტანდარტული ნაბეჭდი გვერდი 32,000 სიმბოლოა). თითო ნაბეჭდი გვერდისათვის მინიმალური ჰონორარი განისაზღვრა „შვედეთის მწერალთა ასოციაციასთან“ და „შვედი გამომცემლების ასოციაციასთან“ მოლაპარაკებით და მითითებულია ჰონორარის ხელშეკრულებაში. პირველადი გამოყენების ანაზღაურების გარდა, გამომცემელი ასევე იღებს პასუხისმგებლობას „შვებულების ანაზღაურებაზე“, რომელიც შეთანხმებული საერთო თანხის 12%-ს წარმოადგენს.

მეორადი გამოყენებისათვის (წიგნის კლუბების მიერ მეორედ გამოცემა და თარგმანის გამოყენება ნებისმიერი პირის მიერ გარდა იმ საგამომცემლო კომპანიისა, რომელმაც დააკონტრაქტა თარგმანისათვის), არსებობს დამატებითი ანაზღაურება მთარგმნელისათვის ძირითად ხელშეკრულებაში არსებული პრინციპების მიხედვით. ძირითად ხელშეკრულებაში ასევე აღნიშნულია, რომ მთარგმნელი გადასცემს გამომცემელს თარგმანის მხოლოდ გამოქვეყნების და მეორედ გამოცემის უფლებას. მთარგმნელი ყველა სხვა უფლებას ინარჩუნებს. გამომცემლის უფლებები წყდება თანამშრომლობის მეათე წლის დასასრულს.

რიგ შემთხვევებში კონტრაქტის პირობები განსხვავებულია და იცვლება მთარგმნელის პროფესიონალიზმის მიხედვით. მთარგმნელების ნაწილს შეუძლიათ მოლაპარაკება მინიმუმზე მაღალი ანაზღაურების თაობაზე კერძო გამომცემლობასთან და თითოეულ ნაშრომზე.

ინფორმაცია იმ მთარგმნელების სამუშაო პირობების შესახებ, ვინც ქართულ თარგმანებზე მუშაობდა, ძალიან მცირეა. Wahlström & Widstrand-ის საგამომცემლო სახლის თანახმად, განსაკუთრებულად რთულია ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოპოვება „ვინაიდან ეს წიგნები მრავალი წლის წინ გამოიცა, ანგარიშის მოძიება შეუძლებელია“.

როგორც თანამედროვე ქართული პოემების - „Modern Georgiska Poesi“ მთარგმნელთან, კაისა ლინდსტენთან საუბრისას გავარკვეეთ, პროექტი, რომელზეც ის მუშაობდა Svenska Institutet-ის მხარდაჭერით განხორციელდა, ინსტიტუტის მიერ იყო გაცემული ანაზღაურება და ჰონორარი.

მედიატორები

ორ ქვეყანას შორის წარმატებული კულტურათაშორისი კომუნიკაციის და ახლო ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად უმნიშვნელოვანესია შესაფერისი ხელშემწყობი კამპანია, რომელიც მოცემულ ქვეყანაში შემუშავდა. ამიტომ, მედიატორის როლი კულტურის და თარგმანის ხელშემწყობი სამიზნე ქვეყანაში აუცილებელია.

შვედეთში, სხვადასხვა აქტორს შორის, რომელიც ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეწეოდა, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს შვედური ინსტიტუტის (Svenska Institutet) როლი, საჯარო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს შვედეთის მიმართ ინტერესის და ნდობის გაზრდას. შვედური ინსტიტუტი ცდილობს სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის და ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარებას სტრატეგიული კომუნიკაციის და კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის სფეროში გაცვლის საშუალებით. საქართველო, როგორც „ბალტიის ზღვის თანამშრომლობის“ ნაწილი იღებს მხოლოდ აკადემიურ თანამშრომლობას და დაფინანსებას. ამ გარემოებებში, შვედურმა ინსტიტუტმა მხარი დაუჭირა ქართული კულტურის პოპულარიზაციის რამდენიმე პროექტს.

შვედური ინსტიტუტის შემდეგ ქართული თარგმანების და კულტურის შვედურ საზოგადოებაში პოპულარიზაციის პოპულარიზაციას ახდენენ სტოკჰოლმში მცხოვრები მთარგმნელები და თანამედროვე ავტორები.

ჰანს ბიორკგრენი - პირველი ადამიანი, ვინც ქართული ლიტერატურა თარგმნა რუსული ენიდან, არის მწერალი, მთარგმნელი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი და

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი სლავისტიკაში, ძირითადი ფოკუსით საბჭოთა კავშირზე. დაიბადა შვედეთში 1933 წელს, მისი უნარები რუსულ ენაში და შემოქმედებითობა სკოლაშივე გახდა ცნობილი. 1960 წელს ის მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. თავდაპირველად კორესპონდენტად მუშაობდა „სტოკჰოლმის გაზეთში“ და მოგვიანებით დაინიშნა ჩრდილოეთ ევროპის ახალი ამბების სააგენტოს ხელმძღვანელად.

პოეზიის რამდენიმე კრებულის და სამი ისტორიული ნოველის ავტორი მიჩნეულია რუსული ლიტერატურის ერთ-ერთ მოწინავე მთარგმნელად შვედეთში. მან თარგმნა ისეთი ცნობილი რუსი ავტორების შედეგები, როგორცაა ბორის პასტერნაკი, ფიოდორ დოსტოევსკი, ნადეჟდა მანდელსტჰამი, იოზეფ ბროდსკი, ანა ახმატოვა, ვასილი აკსენოვი და მრავალი სხვა. ბიორკგრენი დაინტერესებული იყო საბჭოთა კავშირით და მისი ისტორიით; მან ამ თემაზე რამდენიმე წიგნი გამოსცა. 1985 წელს მან გამოაქვეყნა „რუსული რევოლუცია ჩრდილოეთში“, რუსი რევოლუციონერების სკანდინავიაში საქმიანობის შესახებ ისტორიული კვლევების კრებული. იგივე იდეაზეა მისი სხვა წიგნი „საბჭოთა კავშირის ხალხი“.

ბიორკგრენმა მიიღო შვედური აკადემიის მთარგმნელის პრიზი 1975 წელს, ელსა ტულინის მთარგმნელის პრიზი 1985 წელს და 1993 წელს - უჰსალას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება. 2008 წელს მან მიიღო ალექსანდრე პუშკინის მედალი „რუსული ენისა და რუსული კულტურის გავრცელებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის“.

როგორც აღვნიშნეთ, ჰანს ბიორკგრენი ქართული ლიტერატურის შვედურ ენაზე პირველი მთარგმნელი იყო. ორი წიგნი “Den fredlose” და “Den syste flyckten” ქართველი ავტორის, ჭაბუა ამირეჯიბის შედეგებია, რომელიც თვითონ, თავის ოჯახთან ერთად, საბჭოთა კავშირის მსხვერპლი იყო. მისი ორივე რომანი აღწერს რუსულ რევოლუციამდელ პერიოდს საქართველოში.

რაც შეეხება ჰანს ბიორკგრენის დიდ ინტერესს საბჭოთა კავშირში და რუსულ რევოლუციაში, ჩვენ ადვილად შეგვიძლია ავხსნათ კავშირი მთარგმნელსა და თარგმანებს შორის.

აღსანიშნავია ასევე კიდევ ერთი მთარგმნელი, კაისა ლინდსტენი, რომელმაც თანამედროვე ავტორების რამდენიმე ქართული ლექსი თარგმნა რუსულიდან. კაისა ლინდსტენი არის ავტორი, მთარგმნელი და შვედური PEN კლუბის წევრი. რამდენიმე წლის განმავლობაში ის რუსეთში შვედეთის საელჩოს კულტურის ატაშედ მუშაობდა, სადაც ის ქართულ ლიტერატურას, კულტურას და სამზარეულოს გაეცნო.

რაც შეეხება Modern Georgiska poesi-ს თარგმანს, ის მუშაობდა ქართველ თანამთარგმნელთან, ნანა გურულთან ერთად, რომელიც, სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ერთ-ერთ მედიატორად უნდა აღვნიშნოთ საქართველოს კულტურის სამინისტრო, რომელმაც 2010 წელს დაიწყო „ქართული წიგნის და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა“, რომლის მთავარი მიზანი ქართული წიგნის პოპულარიზაცია და მხარდაჭერა იყო როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. პროგრამის მთავარი მიზანია საზღვარგარეთ წიგნის ბაზრობების და ფესტივალების მხარდაჭერა, მთარგმნელობითი პროექტების დასრულება, ბიბლიოთეკების განვითარება და თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა.

პროგრამის ფარგლებში სამინისტრომ ადგილობრივი და უცხოელი გამომცემლობებისათვის თარგმანების კონკურსი გამოაცხადა უცხო ენაზე ქართული ლიტერატურის თარგმნის ტრადიციების განვითარებისა და მისი საერთაშორისო ინტეგრაციის ფასილიტაციისათვის. ამ პროგრამის ფარგლებში ბრიტანული საბჭოს და გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით ყოველწლიურად იმართება ფორუმები და დისკუსიები. მონაწილე ავტორები, ქართველი და უცხოელი გამომცემლობები (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, შვედეთი, საფრანგეთი, თურქეთი, სლოვენია, იტალია, შვეიცარია და ავსტრია) და მთარგმნელები განიხილავენ როგორც ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის უკეთეს გზებს, ისე უცხოური ლიტერატურისა - საქართველოში.

ბოლო ფორუმზე, რომელიც 2012 წლის მაისში გაიმართა, პროგრამამ დააფინანსა „ქართული მოთხრობების ანთოლოგიის“ თარგმნა შვედურად, რომელიც გამოიცემა Tranan och Trasten საგამომცემლო სახლის მიერ 2013 წელს. Tranan საგამომცემლო სახლი სპეციალიზირდება ხარისხიანი მხატვრული ლიტერატურის თარგმანზე, განსაკუთრებით საინტერესო მოთხრობებისა აფრიკიდან, აზიიდან, ლათინური ამერიკიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. Tranan რამდენიმე პრიზის მფლობელია გამომცემლობის საქმეში, მათ შორის შვედეთის ნობელის აკადემიიდანაცაა. Trasten Tranan-ის შვილობილია, რომელიც ძირითადად გამოსცემს ნათარგმნ მხატვრულ და სამეცნიერო წიგნებს ბავშვებისა და მოზარდებისათვის.

გარდა Tranan-ის საგამომცემლო სახლისა უნდა აღვნიშნოთ „ბაკურ სულაკაურის საგამომცემლო სახლი“, მოზრდილთათვის მხატვრული, საბავშვო და არასრულწლოვანთა წიგნების, სასკოლო სახელმძღვანელოების, ცნობარების და კულინარული წიგნების წამყვანი ქართველი გამომცემელია. მან გამოსცა შვედურიდან ქართულად ნათარგმნი რამდენიმე წიგნი და ამ ეტაპზე

თანამშრომლობს Tranan-ის საგამომცემლო სახლთან, რომელიც მომავალ წელს უნდა გამოიცეს.

წიგნი „ქართული მოთხრობების ანთოლოგია“ შედგენილი იქნება 14 სხვადასხვა ავტორის მოთხრობებისგან და ითარგმნება ქართველი მთარგმნელის, თამარ მაისურაძის მიერ, ვისი, როგორც მედიატორის როლი, აღსანიშნავია.

თამარ მაისურაძე არის, სავარაუდოდ ერთადერთი მთარგმნელი ქართულიდან შვედურად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლინგვისტიკაში ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ, მან განათლება შვედეთის მთავარ უნივერსიტეტებში განაგრძო, როგორცაა გეტებორგის და სტოკჰოლმის უნივერსიტეტები. სწავლის დროს მან გაიარა შვედური ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ენის და პედაგოგიური კურსები.

საქართველოში, უცხო ენათა ინსტიტუტში თამარი 8 წელზე მეტი დროის განმავლობაში ორგანიზებას უწევდა და მართავდა „შვედური ენის და კულტურის ცენტრს“ და როგორც ცენტრის ხელმძღვანელი, მონაწილეობდა მრავალ შვედურ-ქართულ კულტურულ პროექტში.

ამჟამად თამარი ცხოვრობს შვედეთში და მუშაობს ზემოთ აღნიშნულ პროექტზე. მას კონტრაქტი აქვს Tranan საგამომცემლო სახლთან, რომელიც მას უხდის ჰონორარს მთლიანი თარგმანისათვის და არა სიმბოლოების ან გვერდების რაოდენობის.

კიდევ ერთი აქტიური მედიატორია ქართველი პოეტი, ზურაბ რთველიაშვილი, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს სტოკჰოლმში და ორგანიზებას უკეთებს საკუთარი პოეზიის კითხვის საღამოებს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მის პოეზიას შვედი მწერლებისა და კრიტიკოსების რამდენიმე ჯგუფი აფასებს. ის პოპულარიზაციას უკეთებს ქართულ კულტურას და აცნობს მას ფართო საზოგადოებას. თავისი მეგობრების დახმარებით ის გეგმავს შვედურად ნათარგმნი თავისი ლექსების კრებულის გამოცემას.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ შვედეთში საქართველოს საელჩოს მცირედი წვლილი რომელმაც დააფინანსა და ორგანიზება გაუკეთა რამდენიმე კულტურულ პროექტს შვედეთში, გალერეების, გამოფენების და ქართული ფოლკლორის თანხლებით ქართული საღამოების ორგანიზებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ თანადაფინანსება გაუწია „Modern Georgiska Poessi“-ს თარგმანს.

ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული თარგმანები 1978 წელს გამოქვეყნების შემდეგ ფაქტობრივად არ განვითარებულა. ეს ფაქტი გვაჩვენებს პროფესიონალი მთარგმნელების და საგამომცემლო სახლების მხრიდან ინტერესის ნაკლებობას.

რეკომენდაციები

კაისა ლინდსტენის თანახმად, მთავარი პრობლემა ინფორმაციის ნაკლებობაა, რომლის შედეგადაც ნაკლებია ინტერესი. ამ ასპექტში ის საქართველოს მთავრობის დიდ როლს ხედავს, განსაკუთრების აკრიტიკებს რა საქართველოს საელჩოს შვედეთში, რომელსაც არ ჰყავს კულტურის ატაშე, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებდა სადამოებეს ქართული ლიტერატურის შვედი გამომცემლებისათვის და ლიტერატურული საზოგადოებისათვის გასაცნობად, რაც, შედეგად აამაღლებდა შვედების ინტერესს ქართული ლიტერატურის გამოცემის და წაკითხვისადმი.

ზურაბ რთველიაშვილი ჩივის საელჩოს მხრიდან ყურადღების ნაკლებობის შესახებ და აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას. ის მთავარ პასუხისმგებლობას საქართველოს კულტურის სამინისტროს აკისრებს, რომელმაც მეტი ინვესტიცია უნდა ჩადოს ხელშეწყობაში და საერთაშორისო მასშტაბით გამომცემლობების წახალისებაში.

ამის საპირისპიროდ თამარ მაისურაძე ფიქრობს, რომ ბევრი გაკეთდა ქართული კულტურის შვედურ საზოგადოებაში წარდგენისა და პოპულარიზაციისათვის, მაგრამ მისი აზრით, პრობლემა პროფესიონალი მთარგმნელების ნაკლებობაშია. ქართველ სტუდენტებს შორის სკანდინავისტიკის მიმართ ინტერესი დაბალია. ეს ასევე შეიძლება იყოს მთავრობის პასუხისმგებლობა, რათა აჩვენოს ყველა სტუდენტს, რომ მთარგმნელობა, როგორც პროფესია, პერსპექტიულია და მათი საქმე დაფასებული იქნება.

და ბოლოს, პრობლემა არის თანამედროვე ქართული ლიტერატურის სივიწროვე. კვლევებიდან ცხადად ჩანს, რომ ყველა თარგმანი ძირითადად შესრულდა მხოლოდ პატარა აუდიტორიისთვის დარამდენიმე არც კი გაგზავნილა წიგნის მაღაზიებში. ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე ქართველმა მწერლებმა უნდა შექმნან მსოფლიო მასშტაბის ლიტერატურული ნაშრომები, რომელიც ადვილად დაიპყრობს პუბლიკის ყურადღებას.

შედეგად, კვლევის და მთარგმნელებთან დიალოგის ანალიზის შემდეგ, მთავარი ცხადი პრობლემა მთავრობის მხრიდან ხელშეწყობის და მხარდაჭერის ნაკლებობაა. თუ საქართველოს სურვილი აქვს წარუდგეს და ძლიერი კულტურული ურთიერთობა ჩამოაყალიბოს შვედეთთან, საქართველოს მთავრობის მხრიდან უფრო სერიოზული ზომები უნდა იყოს მიღებული.

ბიბლიოგრაფია

1. შვედი გამომცემლების ასოციაცია <http://forlaggare.se/in-english/book-market-statistics>
2. შვედეთის ეროვნული ბიბლიოთეკის საძიებო სამსახური <http://libris.kb.se/>
3. სტოკჰოლმის საჯარო ბიბლიოთეკა <https://biblioteket.stockholm.se/start>
4. შვედური ინსტიტუტი <http://www.si.se/Svenska/>
5. ქართული წიგნის და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა <http://www.book.gov.ge/index.php?lang=en>
6. Wahlström & Widstrand საგამომცემლო სახლი, სათაო ოფისის საინფორმაციო ცენტრი
სვეავეგენის 58, nb, სტოკჰოლმი, შვედეთი.
7. ლინდსტენ, კაისა, მთარგმნელი. ინტერვიუ აილო ნათია ლორთქიფანიძენ, შვედეთი, 2012
8. მაისურაძე,თამარ, მთარგმნელი. ინტერვიუ აილო ნათია ლორთქიფანიძენ, შვედეთი, 2012
9. რთველიაშვილი, ზურაბ, პოეტი, ინტერვიუ აილო ნათია ლორთქიფანიძენ, შვედეთი, 2012